საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვერექსი

კვერექსი, მართლმადიდებელ ეკლესიაში გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული მოკლე ლოცვების წყება, რომელსაც დიაკონი ან მღვდელი კითხულობს, ხოლო ლოცვების თითოეულ მუხლზე გუნდი პასუხობს: „უფალო შეგვიწყალენ“, ზოგიერთ შემთხვევაში – „მოგვმადლენ უფალო“. კ. მოსახსენიებელი ვედრებაა უფლისადმი. არსებობს მისი რამდენიმე სახეობა: მცირე, დიდი, მრჩობლი, თხოვნითი, მშვიდობიანი, მიცვალებულის მოსახსენიებელი. მშვიდობიანი კ. ორნაირია – დიდი, რ-იც 12 თხოვნისაგან შედგება და მცირე, რ-იც მხოლოდ 2 თხოვნას შეიცავს.